ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

# სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

**პროგრამის სახელწოდება:** სამართალი/ LAW

**სწავლების საფეხური:** დოქტორანტურა

**სწავლების ენა:** საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** სამართლის დოქტორი/Doctor of Law

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტის მოცულობა მოიცავს 60 კრედიტს.

**პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი, სამართლის დოქტორი, ირაკლი ბურდული

## პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

### 1. პროგრამის მიზნები

სამართლის  სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, სისტემური და კრიტიკული გააზრების საშუალებას იძლევა;
- გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გამოუმუშავოს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის, ასევე  ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი;
- გამოუმუშავოს  საუნივერსიტეტო განათლებაში, სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით, მონაწილეობის უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტირირებთ, სამართლის სფეროში, კვლევის დაგეგმვისა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების შემუშავების უნარი.

### 2. სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები)

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(A) აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და კომპლექსურ პრობლემებს;

(B) შეიმუშავებს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს;
(C) კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სამართლის სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს;
(D) დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს ორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად;
(E) მსჯელობს კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ამ სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს და გადმოსცემს არსებული ცოდნის ურთიერთკავშირს ახალ ცოდნასთან, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში;
(F) მონაწილეობს საუნივერსიტეტო განათლებაში სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით;
(G) იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, სამართლის სფეროში ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტირირებთ გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევით პროცესს და შეიმუშავებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტს/ნაშრომს.

## 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტობის კანდიდატის მიერ გავლილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტზე ნაკლებია, აუცილებელია სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხიც.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ასევე მაგისტრს, თუ მას სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში გავლილი აქვს მინიმუმ 30 კრედიტის სამართლის დარგობრივი კურსები და ამასთან, სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული აქვს სამართლის სფეროში. ამ შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხიც.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ევროპული სამეცნიერო (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ საქართველოში ან მის ფარგლებს სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას.

დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.

დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

## 4. სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

| | |
|---|---|
| ☒ ლექცია<br>☒ სემინარი<br>☒ ელექტრონული რესურსით სწავლება<br>☒ ელექტრონული სწავლება<br>☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა<br>☒ პრაქტიკული მუშაობა<br>☒ სხვა | სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.<br><br>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი/სხვა სასწავლო აქტივობა მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო |

| | |
|---|---|
| | კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.<br><br>ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან |

| | |
|---|---|
| | ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. |

## 5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს დოქტორანტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის შუალედური და დასკვნითი

შეფასების  მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. დოქტორანტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

**სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში  დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.  სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე). სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

**დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:**

ფრიადი (summa cum laude)- შესანიშნავი ნაშრომი-მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ძალიან კარგი (magna cum laude)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება სამართლს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

**დისერტაციის  უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:**

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - მაქსიმალური შეფასების 41- 50%;
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.  სრულიად არადამაკმაყოფილებელი  (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

**დისერტაციის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასების შემდეგი მეთოდები და კრიტერიუმები:**

| № | შეფასების მეთოდები  და კრიტერიუმები | მაქსიმალური შეფასების % |
|---|---|---|
| 1 | **დისერტაციის შინაარსობრივი მხარის შეფასება** | **50%,მ.შ.** |
| 1.1 | დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი | 10% |
| 1.2 | სადისერტაციო ნაშრომის სათანადო სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დასახული კვლევითი ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა | 10% |
| 1.3 | დისერტაციის კვლევითი ამოცანის/ამოცანების გადაწყვეტის სისრულე | 10% |
| 1.4 | საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურის, ფაქტობრივი მონაცემების დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი | 10% |
| 1.5 | დისერტაციის გაფორმების (მათ შორის მითითების/ციტირების) სათანადო წესის/წესების დაცვა | 10% |

| | | |
|---|---|---|
| **2** | **პრეზენტაცია** | **40%,მ.შ.** |
| 2.1 | სადისერტაციო თემის აქტუალობა და სიახლე; სადისერტაციო თემის სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებთან და შედეგებთან | 10% |
| 2.2 | კვლევის პროცესში ადეკვატური მეცნიერული მეთოდების შერჩევა და გამოყენება; წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე და ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები/კვლევის შედეგები | 10% |
| 2.3 | სადისერტაციო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის/პრობლემების წარმოჩენა | 10% |
| 2.4 | პრეზენტაციის სტრუქტურა (ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე) | 10% |
| **3** | **დისკუსია** | **10%,მ.შ.** |
| 3.1 | დაცვის პროცესში დასმულ კითხვებზე ადეკვატური და დასაბუთებული პასუხების გაცემა | 10% |

## 6. დასაქმების სფეროები

სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამართლის დოქტორს ასევე შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის დოქტორის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

## 7. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დოქტორანტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- 2500 მ2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;

- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 18 600-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);
- 134 კომპიუტერი ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

## 8. პროგრამის ადამიანური რესურსი

სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (22 პროფესორი, 30 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (11), რომელთაც აქვთ სამართლის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში.

## 9. სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან.

გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური

სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ..

## 10. პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტი.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სასწავლო კურსების, სადოქტორო სემინარებისა და პროფესორის ასისტენტობის სახით.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისაგან. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, სამართლის სადოქტორო პროგრამის სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შინაარსი და შეფასების სისტემა აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია), რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენითა და დაცვით (პრეზენტაციით, სამეცნიერო დისკუსიით).

დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას. დოქტორანტების

მიერ სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განსისაზღვრება „სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების შესახებ“ ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

დისერტაციაზე მუშაობა, ძირითადად, მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული მინიმუმ 2 სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულება. დოქტორანტი წინამდებარე პროექტის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირი განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და ფაკულტეტის წარმომადგენლების ჩართულობით.

## სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი
## (სასწავლო კურსები, სხვა სასწავლო აქტივობები შესაბამისი კრედიტების მითითებით)

| № | საგნის კოდი | სასწავლო კომპონენტი | დაშვების წინაპირობა | კრედიტი/ საათი | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი საათები |
| | | **სავალდებულო ელემენტები** | | **55 ECTS** | | |
| 1. | LAWD1001 | იურიდიული კვლევის მეთოდები | არ გააჩნია | 5/125 | 31 | 94 |
| 2. | LAWD1002 | პირველი სადოქტორო სემინარი | არ გააჩნია | 20/500 | 28 | 472 |
| 3. | LAWD1003 | მეორე სადოქტორო სემინარი | არ გააჩნია | 20/500 | 28 | 472 |
| 4. | LAWD1004 | პროფესორის ასისტენტობა[1] | არ გააჩნია | 10/250 | 46 | 204 |
| | | **არჩევითი ელემენტები** | | **5 ECTS** | | |
| 1. | LAWD1005 | აკადემიური წერა იურისტებისათვის[2] | არ გააჩნია | 5/125 | 31 | 94 |
| 2. | LAWD1006 | სწავლების თანამედროვე მეთოდები | არ გააჩნია | 5/125 | 31 | 94 |

[1] პროფესორის ასისტენტობის საათობრივი დატვირთვა განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.

[2] აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულოა იმ დოქტორანტისთვის, რომელსაც სამაგისტრო პროგრამაზე სწავლებისას არა აქვს გავლილი აღნიშნული სასწავლო კურსი.

სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებით განსაზღვრული სასწავლო აქტივობების ნაცვლად დოქტორანტს შეიძლება ეღიაროს:

- საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი. ამასთან, საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესით განსაზღვრული პრინციპებით.
- უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი. ამასთან, უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილების შესაბამისად.

## პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

| პროგრამის მიზნები | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (A) | (B) | (C) | (D) | (E) | (F) | (G) |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს შესძინოს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, სისტემური და კრიტიკული გააზრების საშუალებას იძლევა. | ✓ | | | | | | |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავების უნარი. | | ✓ | | | | | |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი. | | | ✓ | | | | |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს გამოუმუშავოს სამართლის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. | | | | ✓ | | | |
| **პროგრამის მიზანია** გამოუმუშავოს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი. | | | | | ✓ | | |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს საუნივერსიტეტო განათლებაში, სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით, მონაწილეობის უნარი. | | | | | | ✓ | |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირირებთ, სამართლის სფეროში, კვლევის დაგეგმვისა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების შემუშავების უნარი. | | | | | | | ✓ |

| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | სწავლის შედეგები |
|---|---|
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს შესძინოს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, სისტემური და კრიტიკული გააზრების საშუალებას იძლევა. | (A) **სტუდენტი** აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და კომპლექსურ პრობლემებს. |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავების უნარი. | (B) **სტუდენტი** შეიმუშავებს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს. |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი. | (C) **სტუდენტი** კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სამართლის სფეროში ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს. |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს გამოუმუშავოს სამართლის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. | (D) **სტუდენტი** დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს სამართლის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად. |
| **პროგრამის მიზანია** გამოუმუშავოს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი. | (E) **სტუდენტი** მსჯელობს კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ამ სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს და გადმოსცემს არსებული ცოდნის ურთიერთკავშირს ახალ ცოდნასთან, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში. |
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს საუნივერსიტეტო განათლებაში, სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით, მონაწილეობის უნარი. | (F) **სტუდენტი** მონაწილეობს საუნივერსიტეტო განათლებაში სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის მიზანია** სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტირირებთ, სამართლის სფეროში, კვლევის დაგეგმვისა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების შემუშავების უნარი. | (G) **სტუდენტი** იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, სამართლის სფეროში ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტირირებთ გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევით პროცესს და შეიმუშავებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტს/ნაშრომს. |

## კურიკულუმის რუკა

| სასწავლო კურსი | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (A) | (B) | (C) | (D) | (E) | (F) | (G) |
| იურიდიული კვლევის მეთოდები | | ✓ | | | | ✓ | ✓ |
| პირველი სადოქტორო სემინარი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| მეორე სადოქტორო სემინარი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| პროფესორის ასისტენტობა | | | ✓ | | | ✓ | |
| სადისერტაციო ნაშრომი | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |

| სასწავლო კურსი | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (A) | (B) | (C) | (D) | (E) | (F) | (G) |
| იურიდიული კვლევის მეთოდები | | I | | | | I | I |
| პირველი სადოქტორო სემინარი | I | I | I | I | I | I | I |
| მეორე სადოქტორო სემინარი | D | D | D | D | D | D | D |
| პროფესორის ასისტენტობა | | | D | | | D | |
| სადისერტაციო ნაშრომი | M | M | M | M | M | M | M |

| | | |
|---|---|---|
| I – გაცნობა | D - გაღრმავება | M- განმტკიცება |

# ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

| ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ (აკადემიური პერსონალი) | | |
|---|---|---|
| № | სახელი, გვარი | აკადემიური თანამდებობა /სამეცნიერო ხარისხი |
| სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მიმართულებით | | |
| 1. | ხუბუა გიორგი | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 2. | ბრეგვაძე ლაშა | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 3. | დავითაშვილი გიორგი | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 4. | სურგულაძე ნუგზარი | პროფესორი / ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი |
| 5. | ჯანაშვილი ლელა | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 6. | ბოსტოღანაშვილი დავითი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 7. | გარიშვილი მარინა | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 8. | ფერაძე გოჩა | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| საჯარო სამართლის მიმართულებით | | |
| 1. | კვერენჩხილაძე გიორგი | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 2. | ჭიღლაძე ნანა | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 3. | კობახიძე ირაკლი | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 4. | კოპალეიშვილი მაია | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 5. | ხარშილაძე ირმა | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 6. | ტურავა პაატა | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 7. | კახიანი გიორგი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 8. | თევდორაშვილი გიორგი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 9. | გონაშვილი ვასილი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 10. | ლორია ხათუნა | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 11. | ქარდავა ეკატერინე | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 12. | გვარამაძე თამარი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 13. | ყალიჩავა კობა | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 14. | კახიძე ირაკლი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |

| | | |
|---|---|---|
| **საერთაშორისო სამართლის მიმართულებით** | | |
| 1. | კორკელია კონსტანტინე | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 2. | ქურდაძე ირინე | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 3. | ხუციშვილი ქეთევან | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 4. | სირაძე ეკა | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 5. | პატარაია დავითი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 6. | ბითაძე მაია | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| **კერძო/ბიზნეს სამართლის მიმართულებით** | | |
| 1. | ზოიძე ბესარიონი | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 2. | ნინიძე თევდორე | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 3. | ჭანტურია ლადო | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 4. | ბურდული ირაკლი | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 5. | ძლიერიშვილი ზურაბ | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 6. | ზამბახიძე თამარი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 7. | ჩაჩავა სოფიო | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 8. | ცერცვაძე გიორგი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 9. | ზარანდია თამარ | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 10. | შენგელია ეკატერინე | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 11. | ზოიძე თამარ | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 12. | მახარობლიშვილი გიორგი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 13. | მოწონელიძე ნატალია | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 14. | რუსიაშვილი გიორგი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 15. | ჩიტაშვილი ნათია | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| **სისხლის სამართლის მიმართულებით** | | |
| 1. | ივანიძე მაია | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 2. | ფაფიაშვილი ლალი | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 3. | ტურავა მერაბი | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 4. | თოდუა ნონა | პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 5. | აქუბარდია ირინა | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |

| | | |
|---|---|---|
| 6. | თუმანიშვილი გიორგი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 7. | შალიკაშვილი მორისი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 8. | დვალიძე ირაკლი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 9. | მაღლაკელიძე ლავრენტი | ასოცირებული პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| 10. | გოგნიაშვილი ნინო | ასისტენტ-პროფესორი / სამართლის დოქტორი |
| **ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ (მოწვეული პერსონალი)** | | |
| **№** | **სახელი, გვარი** | **სამეცნიერო ხარისხი** |
| **საჯარო სამართლის მიმართულებით** | | |
| 1. | როგავა ზვიად | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| **საერთაშორისო  სამართლის მიმართულებით** | | |
| 1. | ლაპიაშვილი ნათია | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| 2. | გეფერიძე დავით | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| **კერძო/ბიზნეს სამართლის მიმართულებით** | | |
| 1. | ჩიტოშვილი თამარ | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| 2. | სვანაძე გიორგი | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| 3. | კვანტალიანი ნუნუ | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| 4. | ზარნაძე ეკა | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| 5. | ცისკაძე მარიამ | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| **სისხლის სამართლის მიმართულებით** | | |
| 1. | ფუტკარაძე ედიშერ | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| 2. | მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქეთევან | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |
| 3. | ხერხეულიძე ირინე | მოწვეული ლექტორი/სამართლის დოქტორი |